



გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა
და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის
მართვის ჰარმონიზება საქართველოში

გაუდაბნობასთან ბრძოლის მოდულის დავალებები



ანგარიში მომზადებულია პროექტის “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში

2016 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის ხელი მოეწერა სტანდარტული შეთანხმების წერილს პროექტის - “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ განხორციელების შესახებ. პროექტი ინიცირებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ და ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის გზით. გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნული მიზნების მიღწევას, ისე საერთაშორისო (რიოს სამი კონვენცია) ვალდებულებების შესრულებას.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

დავალებები (Requests) რომლებიც მოთხოვნილი იქნება გაუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის მოდულში

გაუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის მოდული იყოფა 5 ქვემოდულად მათი სპეციფიკიდან გამომდინარე. ესენია:

ქვემოდული 1-მიწების ნეიტრალური დეგრადაცია (SDG 15.3)

ეს ქვემოდული განიხილავს მდგრადი განვითარების მიზნის 15.3 განხორციელების პროცესის მონიტორინგს, რომელიც უშუალოდ დაევალა გაეროს გაუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს და რომელმაც თავის მხრივ შიმუშავა მონიტორინგის 3 ძირითადი კრიტერიუმი და შესთავაზა კონვენციის მხარე ქვეყნებს აწარმოონ დაკვირვება ამ ინდიკატორებით და ჩამოაყალიბონ ეროვნული მიზანი. ეს ინდიკატორებია: ტერიტორიის მიწათდაფარულობა, მიწების პროდუქტიულობის დონე (იგულისხმება ბიომასის წარმოების უნარი), ნიადაგში ნახშირბადის შემცველობა.

დავალება 1.1. გაეროს გაუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს მიერ მოწოდებული მიწათდაფარულობის გლობალური რუკების ვალიდაცია საქარველოს ტერიტორიისათვის და არქივირება. ვალიდაცია შეიძლება გაკეთდეს როგორც სხვა უფრო მაღალი სიზუსტის სატელიტური რუკებით, ასევე ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით. (აეროფოტოგადაღებებით მიღებული ინფორმაციის დეშიფრირება და ბაზაში არქივირება)

დავალება 1.2. გაეროს გაუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს მიერ მოწოდებული მიწების პროდუქტიულობის (იგულისხმება ბიომასის წარმოების უნარი) გლობალური რუკების ვალიდაცია საქარველოს ტერიტორიისათვის და არქივირება. ვალიდაცია შეიძლება გაკეთდეს როგორც სხვა უფრო მაღალი სიზუსტის სატელიტური რუკებით, ასევე ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით. (აეროფოტოგადაღებებით მიღებული ინფორმაციის დეშიფრირება და ბაზაში არქივირება)

დავალება 1.3. გაეროს გაუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს მიერ მოწოდებული ნიადაგებში ნახშირბადის შემცველობის გლობალური რუკების ვალიდაცია საქარველოს ტერიტორიისათვის და არქივირება. ვალიდაცია შეიძლება გაკეთდეს როგორც სხვა უფრო მაღალი სიზუსტის სატელიტური რუკებით, ასევე IPCC-ს მიერ შემუშავებული რეგიონალური კოეფიციენტებით და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით. (აეროფოტოგადაღებებით მიღებული ინფორმაციის დეშიფრირება და ბაზაში არქივირება)

გაუდაზნოებასთან ბრძოლის მოდულის დავალებები 1.4-1.8 არის კლიმატის ცვლილების მოდულში განხილული დავალებების 1.6-1.9 იდენტური.

დავალება 1.4. მონიტორინგისა და ცოდნის მართვის სისტემის მიერ ყოველწლიურად მიღებული მიწათსარგებლობის მონაცემების საფუძველზე ყოველწლიურად განახლდეს მიწათსარგებლობის მატრიცა (FAO/IPCC მიწათსარგებლობის კატეგორიების შესაბამისად) და მოხდეს მისი არქივირება.(ეს დავალება გულისხმობს სისტემის მიერ მონაცემების მიღებას და სტანდარტულ ცხრილში/მატრიცაში შეყვანას და არქივირებას).

დავალება 1.5. მოწოდებულ იქნეს X წლის მიწათსარგებლობის/ მიწათდაფარულობის/ მიწის ნაყოფიერების ან/და ნახშირბადის შემცველობის მატრიცა.(გამზადებული ინფორმაციის გამოთხოვა).

დავალება 1.6. მიმდინარე წლისათვის (აქ უნდა კონკრეტული წელი მიეთითოს) განახლდეს მიწათსარგებლობის ცვლილებების მატრიცა და შეინახე არქივში. (ეს დავალება გულისხმობს სისტემაში არსებული მიწათსარგებლობის ყოველწლიური მატრიცებიდან ამ სექტორში ცვლილებების მატრიცის შექმნას/განახლებას და არქივირებას).

დავალება 1.7. მოწოდებულ იქნეს მიწათსარგებლობაში ცვლილებების მატრიცა 1990-X წლის პერიოდისათვის.(გამზადებული ინფორმაციის გამოთხოვა).

დავალება 1.8. (ბაზიდან ინფორმაციის მიღება და ანალიზი). მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზიდან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მიღება (ტრენდები, დროში ცვლილებების შეფასება და ა.შ.). ვიზუალიზაცია რუკების, ტრენდების და გრაფიკების სახით.

დავალებები 1.4 -1.8 შეეხება მიწათსარგებლობაში ყოველწლიური ცვლილებების მატრიცის შექმნას და ამ მატრიცით სარგებლობას სხვადასხვა შეფასებების გასაკეთებლად. ასეთი მატრიცის მიღება (გარკვეული სიზუსტის) შეიძლება FAO-ს ბაზიდან და გარკვეული პერიოდულობით სასოფლო-სამეურნეო მიწათსარგებლობის აღწერას აწარმოებს სტატისტიკის დეპარტამენტი.

ქვემოდული 2 - განიხილავს გაუდაზნოების/მიწის დეგრადაციის გამომწვევ კლიმატურ ფაქტორებს, ექსტრემალურ ამინდის და გეოლოგიურ მოვლენებს და მიწის ეკოსისტემის კლიმატის მიმართ მოწყვლადობის შეფასებას

ეს ქვემოთული ეყრდნობა კონვენციის პირველად მიზანს, რომელიც მდგომარეობს ძირითადად გვაღვების, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიებით გამოწვეული გაუდაბნოების პროცესების მონიტორინგს და გაუდაბნოების პროცესების შეჩერებას, სადაც შესაძლებელია რეაბილიტაციას

კლიმატური ფაქტორები

ამ მოდულში მოყვანილი დავალებების შესასრულებლად საჭიროა კლიმატის ცვლილების აწმყო და მომავალ სცენარები, რომელც თავის მხრივ ამ მოდულის დავალებებში შედის: ტემპერატურა, ნალექები, ქარები, ევაპოტრანსპირაცია, ფარდობითი ტენიანობა და ა.შ. რაც საჭიროა გაუდაბნოების პროცესის შესაფასებლად (არიდული, ნახევრად არიდული და მშრალი sub-humid ტერიტორიები გვხვდება იქ სადაც წლიური ნალექების შეფარდება პოტენციურ ევაპოტრანსპირაციასთან ხვდება 0.05 და 0.65 შორის).

ექსტრემალური ამინდის და გეოლოგიური მოვლენები

ამინდის და გეოლოგიური ექსტრემალური მოვლენები: მეწყერები, ღვარცოფები, ზვავები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები, გვალვები, ძლიერი ქარები, და სხვ. ისეთი მოვლენები, რომლებიც იწვევენ ნიადაგის და საერთოდ მიწების დეგრადაციას.

დავალება 2.1. არის კლიმატის ცვლილების მოდულში განხილული 2.1 დავალებების იდენტიური;

დავალება 2.2. არის კლიმატის ცვლილების მოდულში განხილული 2.2 დავალებების იდენტიური.

კლიმატის ცვლილების ტრენდები

დავალება 2.1. დავთვალოთ X კლიმატური პარამეტრის (საშუალო წლიური ტემპერატურა, საშუალო თვიური ტემპერატურა, ექსტრემალური ტემპერატურები, საშუალო წლიური ნალექთა ჯამი, საშუალო თვიური ნალექთა ჯამი, ექსტრემალური ნალექები, ევაპოტრანსპირაცია სხვადასხვა სეზონზე, არიდულობის ინდექსი სხვადასხვა სეზონზე, ქარების საშუალო წლიური სიჩქარე, ქარების საშუალო თვიური სიჩქარე (გაზაფხულზე), ქარიანი დღეების რაოდენობა, მაღალი სიჩქარის ქარიანი დღეების რაოდენობა, ჰაერის ტენიანობა სხვადასხვა პერიოდებში და ა.შ.) ცვლილება A-B და C-D პერიოდებს შორის, სადაც ეს ორი პერიოდი შეიძლება იყოს უკვე გასული

უახლოესი წლების ორი ნებისმოერი პერიოდი ან ერთი მიმდინარე პერიოდი და ერთი მომავალი პერიოდი. მომავალ პერიოდში პარამეტრის შესაფასებლად გამოიყენება კლიმატის გლობალური და რეგიონალური მოდელები (IPCC, WMO, Hardley Center, etc), რომლებიც არსებობს გეს-ში, ხოლო მიმდინარე პერიოდის ცვლილებების შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდები, რომლებსაც ასევე ფლობს გეს. თითოეული კლიმატური პარამეტრის ტრენდის გამოთვლა ხდება მეტეოსადგურებიდან ან ავტომატური სადგურებიდან მიღებული დაკვირვების მონაცემებით. GIS რუკების აგებისას თითოეული პარამეტრისათვის აგებულ რუკაზე წერტლები დაიტანება მეტეოსადგურების მიხედვით და გავრცობა ხდება იზოხაზების დატანით. ასევე შესაძლებელია ამ პარამეტრების გასაშუალოება ქვეყნის მთელი ტერიტორიის მასშტაბით ან ცალ-ცალკე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის, რაც ყველაზე ხშირად გამოიყენება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კლიმატური ზონების მკვეთრი განსხვავებულობის გამო. გაუდაზნოებისა და მიწის დეგრადაციის პროცესების მონიტორინგისათვის საჭირო იქნება უფრო ლოკალური/მეტეოსადგურების დონეზე ინფორმაციის წარმოება და ამ პარამეტრების ცვლილების ტრენდებზე დაკვირვება. წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო

დავალება 2.2. GIS რუკების საშუალებით ან სექტორული ექსპერტის მიერ მითითებული სხვა მეთოდებით დავადგინოთ კორელაცია X კლიმატური პარამეტრის (უნდა მიეთითოს რომელი კლიმატური პარამეტრისათვის გვინდა) საშუალო ნორმაში მომხდარ ცვლილებასა ორ პერიოდს შორის (A-B და C-D) და დეგრადირებულ/დეგრადაციისაკენ მიმავალ მიწის ფართობებს შორის, მოვახდინოთ კორელაციის ვიზუალიზაცია GIS რუკების საშუალებით.

ექსტრემალური ამინდის და ექსტრემალური გეოლოგიური მოვლენები

დავალება 2.3. არის კლიმატის ცვლილების მოდულში განხილული დავალებების 2.22. იდენტური;

დავალება 2.4. არის კლიმატის ცვლილების მოდულში განხილული დავალებების 2.23 იდენტური.

დავალება 2.3. შევაფასოთ X მოვლენის (გვალვები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მეწყერები, ღვარცოფები და სხვ.) ტრენდი ორ სხვადასხვა (A-B და C-D) პერიოდს ან ორ სხვადასხვა წელს (საბაზისო და მონიტორინგის) შორის კონკრეტულ ლოკაციებზე. წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო

დავალება 2.4. GIS რუკების ან სექტორული ექსპერტის მიერ მითითებული სხვა მეთოდებით საშუალებით დავადგინოთ კორელაცია X ექსტრემალურ მოვლენასა (უნდა მიეთითოს რომელი ექსტრემალური მოვლენა გვინდა) და დეგრადირებულ/დეგრადაციისაკენ მიმავალ მიწის ფართობებს შორის, მოვახდინოთ კორელაციის ვიზუალიზაცია GIS რუკების საშუალებით ან მარტივი გრაფიკებით.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მიწების დეგრადაცია

წყაროები შეიძლება იყოს: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო სამეურნეო მიწები); ეროვნული სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო (ტყით დაფარული ტერიტორიები, ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამ ორი უეცრების მფლობელობაში არსებული სხვა ტიპის მიწები); ბიომრავალფეროვნების სამსახური (ჭარბტენიანი ტერიტორიები); გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი (მეწყერებით, ღვარცოფებით, ზვავებით, წყალმოვარდნებით და წყალდიდობებით დაზიანებული ტერიტორიები); მუნიციპალიტეტები (მათ ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული/დეგრადირებული ფართობები); საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და სხვა უწყებები, რომელთა იდენტიფიცირება მოხდება სისტემის შექმნის პროცესში ან შემდგომ ეტაპებზე. ასევე მნიშვნელოვანი წყაროა განხორციელებული და მიმდინარე პროექტები და პროგრამები, რომლებიც ეხება რიოს სამივე კონვენციას.

დავალება 2.5 არის კლიმატის ცვლილების მოდულში განხილული 2.19 დავალებების იდენტური. (გროვდება მუნიციპალიტეტებიდან შევსებული ფორმების საფუძველზე.)

დავალება 2.5. სისტემამ აწარმოოს აღრიცხვა წყლისმიერი ეროზიებით დაზიანებული ფართობების (ათასი ჰა) მათი დაფარულობისა და სარგებლიანობის კატეგორიების მიხედვით ორ სხვადასხვა A-B და C-D პერიოდებს შორის.

დავალება 2.6. არის კლიმატის ცვლილების მოდულში განხილული 2.20 დავალებების იდენტური. (გროვდება მუნიციპალიტეტებიდან შევსებული ფორმების საფუძველზე.)

დავალება 2.6. სისტემამ აწარმოოს აღრიცხვა ქარისმიერი ეროზიებით დაზიანებული ფართობები (ათასი ჰა) მათი დაფარულობისა და სარგებლიანობის კატეგორიების მიხედვით ორ სხვადასხვა A-B და C-D პერიოდებს შორის.

დავალება 2.7. არის კლიმატის ცვლილების მოდულში განხილული 2.21 დავალებების

იდენტური. (გროვდება მუნიციპალიტეტებიდან შევსებული ფორმების საფუძველზე.)

დავალბა 2.7. სისტემამ აწარმოოს აღრიცხვა გვალვებით დაზიანებული ფართობების (ათასი ჰა) მათი დაფარულობისა და სარგებლიანობის კატეგორიების მიხედვით ორ სხვადასხვა A-B და C-D პერიოდებს შორის.

ქვე-მოდული 5 და 6 მოიცავს სისტემაში ექსპერტის მიერ შემუშავებული ფორმის ინტეგრირებას. მის საფუძველზე სისტემაში თითოეული ქვემოდულის დავალებებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას დავალებების მიხედვით.

ქვემოდული 5: შედგება მიწების დეგრადაციასთან და გაუდაბნობასთან დაკავშირებულ სხვა მიმართულებებზე (ადგილობრივი პოტენციალის გაზრდა, ცნობიერების ამაღლება, კვლევები, ტექნოლოგიების გადაცემა, ფინანსური მექანიზმები) მიმდინარე მონიტორინგის შედეგებისაგან.

დავალბა 5.1. (საცნობარო ინფორმაცია). გამოიყვანე ტექნოლოგიების ნუსხა, რომლებიც დანერგილია მიწათსარგებლობის სექტორში კლიმატის ცვლილების რისკების შესამცირებლად (სექტორების მიხედვით) A-B წლებში.

წყარო: მიწების დეგრადაციის შეჩერების ან რეაბილიტაციის პროგრამები და პროექტები. გამოყენებული მოწინავე ტექნოლოგიები.

დავალბა 5.2. (საცნობარო ინფორმაცია). გამოიყვანე ტექნოლოგიების ნუსხა, რომლებიც დანერგილია მიწათსარგებლობის სექტორში სხვადასხვა ტიპის (არასწორი მენეჯმენტი, პესტიციდებისა და სასუქების არასწორი მოხმარება და სხვ.) რისკების შესამცირებლად (სექტორების მიხედვით) A-B წლებში.

წყარო: მიწების დეგრადაციის შეჩერების ან რეაბილიტაციის პროგრამები და პროექტები. გამოყენებული მოწინავე ტექნოლოგიები.

დავალბა 5.3. სისტემამ აწარმოოს იმ უცხოური ინვესტიციების შეაფასება (შედეგები ფულად ერთეულში), რომლებიც ჩაიდო კლიმატის ცვლილების რისკების მიმართ მიწების/ნიადაგების საადაპტაციო და ასევე ნებისმიერი სხვა ტიპის რისკების შემამცირებელ პროგრამებში, პროექტებში და ღონისძიებებში, ასევე გლობალური მონიტორინგის ვალდებულებების შესასრულებლად. ამ დავალების შედეგები შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგ კატეგორიებად: კლიმატის ცვლილების მიმართ მიწების ადაპტაციაში დახარჯული თანხები, ადგილობრივი პოტენციალის გაძლიერებაში დახარჯული თანხები, კვლევებში დახარჯული თანხები, დონორები, ეროვნულ დონეზე ჩადებული უცხოური ინვესტიციები/მუნიციპალურ დონეზე ჩადებული უცხოური ინვესტიციები და სხვ.

წყარო: კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნებისა და გაუდაბნობის კონვენციების ფარგლებში მიწების დეგრადაციის შეჩერების ან რეაბილიტაციის

მიზნით განხორციელებული პროგრამები და პროექტები.

დავალბა 5.4. ეროვნული/ადგილობრივი ინვესტიციები (შედეგები ფულად ერთეულში) რომლებიც ჩაიდო კლიმატის ცვლილების რისკების მიმართ მიწების/ნიადაგების საადაპტაციო და ასევე ნებისმიერი სხვა ტიპის რისკების შემამცირებელ პროგრამებში, პროექტებში და ღონისძიებებში, ასევე გლობალური მონიტორინგის ვალდებულებების შესასრულებლად. ამ დავალბების შედეგები შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგ კატეგორიებად: კლიმატის ცვლილების მიმართ მიწების ადაპტაციაში ჩადებული თანხები, მიწების რეაბილიტაციაში და სხვადასხვა ტიპის რისკების შემცირებაში ჩადებული ინვესტიცია, ადგილობრივი პოტენციალის გაძლიერებაში ჩადებული ინვესტიცია, კვლევებში ჩადებული თანხები, დონორი უწყებები, ეროვნულ დონეზე ჩადებული ეროვნული ინვესტიციები/მუნიციპალურ დონეზე ჩადებულ ეროვნული/ადგილობრივი ინვესტიციები და სხვ.

წყარო: ქვეყნის სხვადასხვა უწყებების მიერ მიწების დეგრადაციის შეჩერების ან რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული პროგრამები და პროექტები (გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო).

დავალბა 5.5. წარმოადგინე SDG 15.3-ის შესრულებაზე მონიტორინგის შედეგები. მიწის ფართობები(რეაბილიტირებულია Y ათასი ჰა) მათი დაფარულობისა და სარგებლიანობის კატეგორიების მიხედვით, რომელთა დეგრადაცია შეჩერებულია არსებულ/წინასწარ დაფიქსირებულ დონეზე. შეფასება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს რომელიმე X წლისათვის ან ორ სხვადასხვა A-B და C-D პერიოდებს შორის. წყარო: შეიძლება იყოს როგორც შესრულებული პროგრამებისა და პროექტების შედეგები, ასევე სისტემის მიერ მიწების/ნიადაგების დეგრადაციის ხარისხზე ქვემოდულელებში 2 და 3 განხილული უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია.

დავალბა 5.6. მუნიციპალიტეტების მიერ მერების შეთანხმების (ენერჯეტიკა და კლიმატი, რომელშიც შედის ეკოსისტემების და მათ შორის მიწების ადაპტაცია კლიმატის ცვლილების მიმართ) ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის შედეგები (დეგრადირებული მიწების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით). წყარო: პროგრამებიდან და პროექტებიდან მიღებული შედეგები და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია.

ქვემოდული 6: ამ მოდულში გროვდება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ქვეყნის მიერ ანგარიშგების განსახორციელებლად. ანგარიშგების პორტალია PRAIS (The Performance Review and Assessment of implementation System PRAIS). PRAIS-ში შესატანი ინფორმაციის ნაწილი გროვდება სხვადასხვა დავალბების მოდულებში და ამ

მოდულში არის მითითება შესაბამის დავალებაზე

დავალება 6.1. შეგროვდეს ინფორმაცია იმ საინფორმაციო ღონისძიებების და რადიო/ტელევიზიის გადაცემების რაოდენობის შესახებ, რომლებიც მიეძღვნა მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოებისა და გვალვის საკითხებს, აგრეთვე ამ საკითხების კავშირს კლიმატის ცვლილებასთან და ბიომრავალფეროვნებასთან. აქ მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმ საინფორმაციო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გაშუქდა ხუთ ძირითად ეროვნულ ტელე და რადიო არხებზე და გამოქვეყნებული იქნა ხუთ ძირითად გაზეთში. შედეგები წარმოდგენილ იქნეს PRAIS- ში მოთხოვნილი ცხრილის სახით.

დავალება 6.2. შეფასდეს მოსახლეობის რაოდენობა (კატეგორიების მიხედვით), რომელთანაც მიაღწია დავალება 6.1-ში აღნიშნულმა ინფორმაციამ. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მოპოვებულ იქნეს: ღონისძიებებში (შეხვედრები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები) მონაწილეთა ჩამონათვალში, პროექტების /პროგრამების დოკუმენტაციაში, ძირითადი ეროვნული მედიაში (ტელევიზია, რადიო, პრესა). შედეგები წარმოდგენილ იქნეს PRAIS- ში მოთხოვნილი ცხრილის სახით.

დავალება 6.1 და 6.2-ის ინფორმაციის წყაროები: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი და ადგილობრივი ტელევიზიები, პირველი რადიო, რადიო პალიტრა და ადგილობრივი პრესა. ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

დავალება 6.3. შეიქმნას იმ საზოგადოებრივი და აკადემიური ორგანიზაციების ცნობარი, რომლებიც ჩართული არიან ქვეყანაში მიმდინარე მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოებისა და გვალვის საკითხებთან დაკავშირებულ პროგრამებში/პროექტებში. შედეგები წარმოდგენილ იქნეს PRAIS- ში მოთხოვნილი ცხრილის სახით.

წყაროები: ამ ეტაპზე, პროგრამები და პროექტები, რომლებიც სისტემას აწვდიან ინფორმაციას მე-5 ქვეპუნქტის შესრულების პროცესში.

დავალება 6.4. შეგროვდეს ინფორმაცია საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ტექნოლოგიური ინსტიტუტების მიერ განათლების სფეროში ჩატარებული ინიციატივების (ღონისძიებები და სასწავლო კურსი) რაოდენობისა და ტიპის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოებისა და გვალვის საკითხებთან. შედეგები წარმოდგენილ იქნეს PRAIS- ში მოთხოვნილი ცხრილის სახით.

ინფორმაციის წყაროები: მე-5 ქვემოდულისათვის შგროვებული ინფორმაცია

პროექტებისა და პროგრამების შესახებ, სამეცნიერო ტექნიკური ინსტიტუტები, მათ შორის, აგრარული უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, გეოგრაფიის ინსტიტუტი, ბოტანიკის ინსტიტუტი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

დავალება 6.5. მომზადდეს ჩამონათვალი (ცნობარი) იმ რეგიონალური და სუბრეგიონალური აქტორებისა, რომლებიც ეხმარებიან ქვეყნებს ეროვნული, რეგიონული ან სუბრეგიონული მოქმედებათა პროგრამების, სტრატეგიების და სხვა მსგავსი დაგეგმვის დოკუმენტების მომზადებაში, მათი შექმნისა და დამტკიცების თარიღების მითითებით.

ინფორმაციის წყარო: კონვენციის ეროვნული პასუხისმგებელი პირი, რომელიც ინფორმაციას იღებს გაუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოდან შემუშავებული ეროვნული, რეგიონული ან სუბრეგიონული მოქმედებათა პროგრამების შესახებ. აქაც წელიწადში ერთხელ არის საჭირო ინფორმაციის მოძიება? აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეგროვდეს წელიწადში ერთხელ.

დავალება 6.6. შეფასდეს იმ ინიციატივების რაოდენობა, რომლებიც მიმართულია რიოს კონვენციის ერთობლივ გეგმებსა/პროგრამებზე, ასევე მათი განხორციელების მექანიზმებზე. უნდა მოგროვდეს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული იმ მექანიზმების შესახებ, რომელთა მიზანია რიოს სამი კონვენციის ერთობლივი განხორციელება და ღონისძიებების ერთობლივად გატარება.

ინფორმაციის წყარო: სამივე კონვენციის პასუხისმგებელი პირი საქართველოში, პროექტები და პროგრამები რომლებიც ხორციელდება ქვეყანაში და მათზე ინფორმაცია იკრიბება მე-5 ქვემოდულის შესასრულებლად.

დავალება 6.7. (CONS-8) სისტემამ უნდა დაითვალოს მომხმარებელთა რაოდენობა, რომელიც წლიურად სტუმრობს ამ საინფორმაციო და ცოდნის მართვის სისტემის გეუდაზნობასთან ბრძოლის კონვენციის მოდულს.

დავალება 6.8. (CONS-13). შეფასდეს პოტენციალის გაზრდის მიზნით განხორციელებული პროგრამების და პროექტების და ღონისძიებების რაოდენობა. დაჯგუფდეს პოტენციალის თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პროგრამები და პროექტები და სხვა მეთოდით შეფასებული ადგილობრივი პოტენციალის შედეგად დანხორციელებული პროგრამები, პროექტები და ღონისძიებები. ინფორმაციის წყარო დავალება 5.3 და 5.4.

დავალება 6.9. შეფასდეს ორმხრივი დახმარებების ფარგლებში მიღებული უცხოური ინვესტიციების რაოდენობა და მიღებული შედეგები. ამ ორის საფუძველზე შეფასდეს

მათი ადეკვატურობა.

წყარო. დავალება 5.3 და 5.4

დავალება 6.10 (CONS-18) შეაფასე ფინანსური რესურსები და წახალისების მექანიზმები, რომლებმაც საქართველოსათვის უზრუნველყო/გაამარტივა ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა.

ინფორმაციის წყარო: დავალება 5.1. და 5.2 ბიოფიზიკური და სოციო-ეკონომიკური ინფორმაციის გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტის დონეზე კლიმატის ცვლილების მიმართ სოფლის მეურნეობის სექტორის ადაპტაციის უნარის შესაფასებელი პარამეტრები

1. ფერმერული ორგანიზაციების (ფერმერული გაერთიანებების) რაოდენობა
2. ქალების დასაქმებულობა სოფლის-მეურნეობაში (რაოდენობა ან %)
3. უმაღლესი განათლება (რაოდენობა ან %)
4. სპეციალური სასოფლო სამეურნეო განათლება
5. შინაური ცხოველების რაოდენობა
6. საშუალო შემოსავალი ერთ სულზე (ლარი/წელი)
7. მოსახლეობის რაოდენობა
8. მოსამზადებელი, დაწყებითი, საშუალო სკოლების, კოლეჯების, საავადმყოფოების რაოდენობა და ინტერნეტის მქონე მოსახლეობის რაოდენობა
9. მოსაფალტებული (ან კარგი ხარისხის) გზების რაოდენობა (კმ)
10. ფერმერული ბაზრების რაოდენობა
11. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი (ჰა)
12. საერთო სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი (ჰა)
13. მდელოებისა და საძოვრების ფართობები (ჰა)
14. ტყეების ფართობები (ჰა)
15. ადგილობრივი სახეობების რაოდენობა (სოფლის მეურნეობის ჯიშები და სახეობები)
16. ქალების რაოდენობა
17. ბავშვების რაოდენობა
18. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობა რაოდენობა (ან %)
19. მოსახლეობის ზრდის ტემპი
20. მცირე ფერმების რაოდენობა (სადაც ფართობი 1 ჰა-ზე ნაკლებია)
21. ნიადაგის დეგრადაცია (ჰა-ში ფართობები, ყველა ტიპის დეგრადაცია ერთად) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (აქ მოცემული უნდა იყოს წარმოების რაოდენობა ყველა ტიპის სასოფლო სამეურნეო პროდუქციისა: მარცვლეული, ბოსტნეული, პირუტყვი ფრინველი, ხილი და სხვა)
22. სოფლის მეურნეობაში ამჟამად არ მოქმედი ფართობები
23. მარცვლეული კულტურების ფართობები
24. მოსახლეობის მიგრაცია
25. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა